



უკრაინის ბრძოლა თავისუფლებისთვის

დავით ბატაშვილი

2022 წლის სექტემბერში, როცა ამ სიტყვებს ვწერ, რუსეთი უკრაინასთან ომში მარცხდება. ამა წლის 24 თებერვალს რუსები უკრაინას დაესხნენ თავს და მისი დაპყრობა სცადეს. ამ თავდასხმისთვის ისინი მრავალი წელი ემზადებოდნენ და ეგონათ, რომ მიზანს იოლად მიაღწევდნენ, მაგრამ მწარედ შეცდნენ. უკრაინელები მტერს მედგრად დახვდნენ. მათ ჯერ რუსული ჯარის წინსვლა შეაჩერეს, შემდეგ კი თავად გადავიდნენ შეტევაზე და ქვეყნის დამპყრობლებისგან გათავისუფლებას შეუდგნენ.

ამ ომში რუსეთს რომ გაემარჯვა, ამას საშინელი შედეგები მოჰყვებოდა როგორც უკრაინისთვის, ისე ზოგი სხვა ქვეყნისთვის, საქართველოს ჩათვლით. უკრაინელთა გამარჯვება კი იმას ნიშნავს, რომ მრავალი ათეული მილიონი ადამიანი თავისუფლად და ღირსეულად ცხოვრებას შეძლებს.

მას მერე, რაც XV საუკუნის ბოლოს მოსკოვმა რუსული სამთავროები გააერთიანა, რუსეთი ყოველთვის ცდილობდა მეზობელი ქვეყნების დამორჩილებას. უკრაინის შემოერთება რუსეთმა XVII და XVIII საუკუნეებში მოახერხა. რუსეთის იმპერია ლამობდა უკრაინული ენისა და ეროვნული იდენტობის მოსპობას, მაგრამ უკრაინელმა ხალხმა ისინი მაინც შეინარჩუნა.

როდესაც 1918 წელს უზარმაზარი რუსული იმპერია დაიშალა, უკრაინელებმა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა აღადგინეს. მაგრამ რუსეთის სათავეში იმ დროს მოსულ ბოლშევიკურ რეჟიმს იმპერიის აღდგენა სურდა. ძველი რუსეთის ნანგრევებზე მათ განიზრახეს ახალი, ტოტალიტარული, ადრინდელზე ბევრად უფრო ძლიერი და სასტიკი იმპერიის აშენება. 1920 წელს მათ ხელახლა დაიპყრეს უკრაინა, ისევე, როგორც 1921 წელს – საქართველო.



ბოლშევიკების საბჭოთა იმპერიაში უკრაინელმა ხალხმა ბევრი საშინელება გამოიარა. 1932-1933 წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ ხელოვნურად გამოწვეული შიმშილით მილიონობით უკრაინელი დაიღუპა. 1937-1938 წლებში რეჟიმმა უკრაინაში, დანარჩენი საბჭოთა კავშირის მსგავსად, უამრავი ადამიანი მოკლა, დააპატიმრა და გულაგის საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდია.

1939 წელს საბჭოთა კავშირი ნაცისტურ გერმანიას აღმოსავლეთ ევროპის გაყოფაზე გაურიდდა. ამის შედეგად დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ხოლო ნაცისტური გერმანია უფრო გაძლიერდა. ორივე ამ ტოტალიტარულ იმპერიას ევროპაში ბატონობა სურდა, ამიტომ მათი გარიგება მალევე ჩაიშალა. 1941 წელს გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხა. ამ ომის შედეგად უკრაინა უმძიმესად დაზარალდა და კიდევ ერთხელ დაკარგა უამრავი ადამიანი.

ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შემდეგ, დასავლეთ უკრაინაში წლების მანძილზე არსებობდა უკრაინელ მემამოხეთა პარტიზანული მოძრაობა, რომელიც უკრაინის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. საბჭოთა რეჟიმმა ეს მოძრაობა საბოლოოდ მხოლოდ 1950-იან წლებში დაამარცხა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულებში უკრაინელებს, საბჭოთა იმპერიის სხვა ხალხების მსგავსად, კომუნისტური რეჟიმის ბატონობის ქვეშ უწევდათ ცხოვრება. ეს რეჟიმი ადამიანებს უსპობდა პიროვნულ თავისუფლებას, აზრის გამოხატვის შესაძლებლობას, ოცნებების განხორციელების შანსს. თუკი ყველაფერს ერთად გავითვალისწინებთ, დათვლაც კი შეუძლებელია იმ ზიანისა, რაც უკრაინას მოსკოვში გაბატონებულმა საბჭოთა რეჟიმმა მიაყენა.





„ჰოლოდომორი“
სარკოვის ქუჩაზე



„ჰოლოდომორის“
მემორიალი კიევი

დაზრუნავული თავისუფლება და ახალი საფრთხე

ბოლო-ბოლო, არაბუნებრივი და ანტიადამიანური საბჭოთა სისტემა სრულიად გაიხრწნა. 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა და უკრაინამ, საქართველოსა და რუსეთის მიერ დაპყრობილი ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, დამოუკიდებლობა დაიბრუნა.

მაგრამ ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის დაშლის დროს მოსკოვში უკვე ფიქრობდნენ გათავისუფლებული ქვეყნების ხელახლა დამორჩილების გზებზე. რუსეთისთვის იმპერიის საბოლოოდ დაკარგვა მიუღებელი იყო. იმ დროს საქართველომ რევანშისტული რუსეთისგან განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიიღო. 1992-1993 წლებში რუსეთმა საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უმეტესი ნაწილი წაართვა, ხოლო აფხაზეთში ქართველთა უსასტიკესი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. უკრაინაში საბჭოთა კავშირის დაშლიდან პირველ წლებში ასეთი რამ არ მომხდარა.

ამის მიუხედავად, იმ დროს უკვე ჩანდა, რომ რუსებს უკრაინის მიმართ ისეთი დამოკიდებულება ჰქონდათ, რომელსაც მომავალში დიდი უბედურების მოტანა შეეძლო. ბევრი რუსის თვალში უკრაინა არ იყო ნამდვილი ქვეყანა, ხოლო უკრაინელები არ იყვნენ ნამდვილი ერი. ასეთი ადამიანების გაგებით, უკრაინა რუსეთის ისტორიული ნაწილია, უკრაინელები სინამდვილეში რუსები არიან, ხოლო უკრაინული ენა მხოლოდ რუსული ენის დიალექტია.

**დამოუკიდებელი უკრაინის არმია
1918-1920 წლებში**



უკრაინული სახელმწიფოსა და ცალკე ერის არსებობა ამ ადამიანებისთვის მიუღებელი იყო, ხოლო ის, რომ უკრაინელები თავის ეროვნულ იდენტობას არ თმობდნენ, მათ სასტიკად აბრაზებდა. ამის გამო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლიდან პირველ წლებში, ბევრი რუსი და უკრაინელი დავობდა უკრაინის ისტორიისა და იდენტობის შესახებ და ერთმანეთში ვერაფრით თანხმდებოდნენ.

კრემლის მიზანში ამოღებული უკრაინა

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოსკოვს სულ უნდოდა დაკარგული იმპერიის რაიმე ფორმით აღდგენა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1999-2000 წლებში რუსეთის მმართველი ვლადიმირ პუტინი გახდა, ამ მიზანს მეტი ძალისხმევა მოხმარდა.

ეს ახლებური რუსული იმპერიალიზმი სხვადასხვა ქვეყანას ეხებოდა, მაგრამ უკრაინის დამორჩილება მისი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი იყო. გეოგრაფიული, ისტორიული და სხვა მიზეზების გამო უკრაინის გარეშე რუსული იმპერიის აღდგენა შეუძლებელია. მოსკოვშიც ვითარებას სწორედ ასე ხედავდნენ.

თავდაპირველად რუსებს უკრაინის ერთიანად დამორჩილება სურდათ. ამისთვის კი საჭირო იყო უკრაინაში პრორუსული პოლიტიკური ძალების გაბატონება. ეს კინალამ მოხდა 2004 წლის ბოლოს, როცა რუსეთის მომხრემ, ვიქტორ იანუკოვიჩმა, პირველად სცადა უკრაინის სათავეში მოსვლა. მაშინ, გაყალბებული არჩევნების გამო, უკრაინელმა ხალხმა „ნარინჯისფერი რევოლუცია“ მოაწყო, რის შედეგადაც იანუკოვიჩმა ძალაუფლება ვერ მოიპოვა. კრემლმა ეს მიიღო, როგორც მძიმე მარცხი და განრისხებულმა უკრაინის დამორჩილების მომზადება განაგრძო.

2003 წლის საქართველოს „ვარდების რევოლუციისგან“ განსხვავებით, „ნარინჯისფერმა რევოლუციამ“ უკრაინას რეფორმები ვერ მოუტანა. ამან უკრაინელი ხალხი გაანზილა. შედეგად, 2010 წელს იანუკოვიჩმა, რომელიც ხალხს ეუბნებოდა, თითქოს ის რუსეთის მორჩილი არ იყო, არჩევნები მოიგო და უკრაინის პრეზიდენტი გახდა. მისი მმართველობის დროს უკრაინაში რუსული გავლენა ძალიან გაიზარდა, ხოლო უკრაინული ჯარი უკიდურესად დასუსტდა.

2013 წლის შემოდგომაზე რუსეთმა გადანყვიტა, რომ უკრაინის დამორჩილებაში ახალ ეტაპზე გადასვლის დრო მოვიდა. მოსკოვმა იანუკოვიჩი აიძულა ევროპასთან ინტეგრაციაზე საჯაროდ ეთქვა უარი და რუსული გავლენის სფეროსკენ აელო გეზი.

უკრაინელი მებრძოლა პარტიზანები



უკრაინული პარტიზანული მოძრაობის დროსა



ვლადიმერ პუტინის პირველი ინაუგურაცია

ვლადიმერ პუტინი და ვიქტორ იანუშკოვიჩი

უკრაინელები თავისუფლებისთვის ბრძოლას იწყებენ

იანუშკოვიჩის რეჟიმის ამ ნაბიჯს უკრაინელი ხალხი არ შეეგუა. უკრაინის დედაქალაქ კიევში დიდი საპროტესტო აქციები დაიწყო. პასუხად, რეჟიმმა ქუჩაში გამოსული ხალხის წინააღმდეგ ძალა გამოიყენა, ხალხმა კი მოძალადეებს ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწია. 2013-2014 წლების ზამთარი კიევის ქუჩებში მუდმივ დაპირისპირებაში გაილია.

ბოლოს რეჟიმის მსახურებმა ხალხს საბრძოლო იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს და ბევრი ადამიანი მოკლეს. ამის მიუხედავად, უკრაინელებმა ბრძოლა განაგრძეს. 2014 წლის 21 თებერვალს იანუშკოვიჩი კიევიდან გაიქცა, შემდეგ კი რუსეთში წავიდა. უკრაინა პრორუსული რეჟიმისგან გათავისუფლდა. ეს ამბავი ისტორიაში შევიდა „მაიდანისა“ და „ღირსების რევოლუციის“ სახელებით.

ამ რევოლუციით უკრაინელმა ხალხმა მოსკოვს ნათლად დაანახა, რომ პოლიტიკური გავლენის გზით მთელი უკრაინის დამორჩილებას რუსეთი ვეღარასდროს შეძლებდა. ამიტომ რუსებმა უკრაინის ნაწილებად გახლეჩა გადაწყვიტეს.

რუსული ჯარი ყირიმში შეიჭრა. თავიდან მოსკოვი იტყუებოდა, ვითომ ასეთი არაფერი ხდებოდა, შემდეგ კი უკვე საჯაროდ აღიარა ყირიმზე კონტროლი და უკანონოდ მიუერთა რუსეთს. ეს რუსული ჩანაფიქრის მხოლოდ დასაწყისი იყო – რუსეთმა დანარჩენი უკრაინის ორად დაყოფა განიზრახა. ამისთვის მისი აგენტები აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინის რვა ოლქში აჯანყებების მოწყობას შეეცადნენ, რასაც უკრაინელები წინ აღუდგნენ. რუსული მცდელობები ყველგან ჩავარდა, ორი ოლქის – დონეცკისა და ლუჰანსკის – გარდა. ამ ორ ოლქს ერთად დონბასის რეგიონი ჰქვია. იქ რუსეთმა მოახერხა ომის გაჩაღება, ისევე, როგორც 1990-იანი წლების დასაწყისში ეს საქართველოში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში გააკეთა.

ნარინჯისფერი რევოლუცია





რუსეთის ჯარაზი ყირიმში



პროტასტი ყირიმში რუსეთის ჯარაზის შესვლის წინააღმდეგ

თავიდან რუსეთი ცდილობდა ამ ომის ფარულად წარმოებას. უკრაინის წინააღმდეგ ომობდნენ რუსეთის ადგილობრივი აგენტები და მომხრეები, დაქირავებულები და ცალკეული რუსი სამხედროები. უკრაინელებს თავდაპირველად ბრძოლა გაუჭირდათ, რადგან მათი ჯარი ძალიან დასუსტდა წინა წლებში, განსაკუთრებით კი, იანუკოვიჩის მმართველობის დროს. მაგრამ თანდათან უკრაინელები შეტევაზე გადავიდნენ და სულ უფრო წინ წაიწიეს.

ბოლოს მათ დონბასში რუსების შექმნილი ძალები დაამარცხეს და ამ რეგიონის სრულ გათავისუფლებამდე სულ ცოტა იყო დარჩენილი. ამის გამო 2014 წლის აგვისტოში რუსეთი დონბასში უკვე პირდაპირ თავისი ჯარით შეიჭრა. უკრაინელებს ნაწილობრივ უკანდახევა მოუწიათ, დონბასი ორ ნაწილად გაიყო, ერთი უკრაინას დარჩა, მეორე კი რუსულ ოკუპაციაში მოექცა. აფხაზეთისა და ცხინვალის მსგავსად, რუსებმა დონეცკსა და ლუჰანსკში თავისი მარიონეტული რეჟიმები შექმნეს.

გზა 2022 წლის 24 თებერვლამდე

ყირიმის უკანონო მიერთების მიუხედავად, 2014 წელი რუსეთისთვის უკრაინაში მარცხების დრო იყო. ჯერ მათ მორჩილ პრეზიდენტ იანუკოვიჩს რუსეთში გაქცევა მოუწია, შემდეგ რუსებს უკრაინის გახლეჩის გეგმა ჩაუფარდათ. ნაცვლად უკრაინის ორად გაყოფისა, რუსეთს მხოლოდ დონბასის ნაწილი შერჩა ხელში. უკრაინის როგორმე დამორჩილების მიზანი მოსკოვისთვის კვლავ მიუღწეველი რჩებოდა. ამის გარეშე კი არ გამოდიოდა პუტინის წადილის ასრულება – ახალი რუსული იმპერიის შექმნა. ამიტომ კრემლი ასეთ ვითარებასთან შეგუებას არ აპირებდა.

2014 წლის შემდეგ რუსეთი ცდილობდა დონბასი მთლიანად უკრაინაზე გავლენის მოსაპოვებლად გამოეყენებინა. რუსი დიპლომატები უკრაინაზე ზეწოლას ახდენდნენ, რათა რუსეთის მიერ ოკუპირებულ დონბასთან უკრაინის გაერთიანება რუსული პირობებით მომხდარიყო. შედეგად, მოსკოვი უკრაინის სა-



მაიდანო



რუსეთის ჯარების მოზილიზება უკრაინის საზღვართან, 2021-2022



გარეო და შიდა პოლიტიკაზე გავლენის მძლავრ ბერკეტებს მიიღებდა. მაგრამ უკრაინელებს ესმოდათ, რომ ეს მათთვის კატასტროფა იქნებოდა და რუსეთის ამ ზენოლას არ დაემორჩილნენ.

ამავე დროს რუსებს გაჩაღებული ჰქონდათ საომარი მზადება. 2015 წლიდან მოყოლებული ისინი უკრაინის საზღვარზე ახალ სამხედრო ნაწილებს ქმნიდნენ და, ზოგადად, ყოველმხრივ ემზადებოდნენ უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეჭრისთვის.

2021 წლისთვის კრემლისთვის გასაგები გახდა, რომ უკრაინას ვერაფერს უხერხებენ. პოლიტიკური გავლენა, ქვეყნის შიგნიდან გახლეჩა, დიპლომატიური ხრიკები – ყველა ეს მეთოდი ფუჭი გამოდგა. პირიქით, უკრაინა სულ უფრო ძლიერი და რუსეთის გავლენისგან თავისუფალი ხდებოდა. ეს მოსკოვის იმპერიული ზრახვების დასამარებას ნიშნავდა. ამავე დროს, რუსეთის სამხედრო მზადებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ პუტინს ეგონა, თითქოს რუსული სამხედრო ძალა უკრაინის დასაპყრობად საკმარისად გაიზარდა. ამრიგად, პუტინმა უკრაინის სამხედრო გზით დაპყრობა გადაწყვიტა.

რუსეთ-უკრაინის დიდი ომი

რუსეთ-უკრაინის ომი სინამდვილეში 2014 წლიდან მიდიოდა, თუმცა ფრონტი მხოლოდ დონბასში იყო. პუტინის საბედისწერო გადაწყვეტილება კი სულ სხვა მასშტაბის ომის დაწყებას ნიშნავდა.

2021 წლის მარტიდან რუსებმა უკრაინის საზღვართან თავისი სამხედრო ძალების გაგზავნა დაიწყეს. ზაფხულში ეს პროცესი შენელდა, თუმცა შემოდგომაზე ახალი ძალით გაჩაღდა. საბოლოო ჯამში, ომის



პოლოდომირ ზალენსკი აღმოსავლეთ უკრაინაში, ფრონტის საზღვა

წინა პერიოდში უკრაინის საზღვარზე თითქმის მთელი რუსული ჯარი დადგა. ამერიკისა და ბრიტანეთის დაზვერვამ შეიტყო რუსეთის ზრახვების შესახებ. ამ ქვეყნების ხელისუფლება საჯაროდ აცხადებდა, რომ კრემლი უკრაინაზე სრულმასშტაბიან თავდასხმას აპირებდა.

ომის წინა წლებში რუსეთმა უამრავი ფული დახარჯა თავის ჯარზე და, ასევე, უკრაინის შიგნით მოლაღატეების მოსყიდვაზე. ამასთან, რადგან ომის გარდა უკრაინის დამორჩილების სხვა გზა რუსეთს აღარ დარჩა, პუტინმა თავი დააფერა, რომ ეს ომით მაინც გამოვიდოდა. რუსების წარმოდგენები მომავალი ომის მსვლელობაზე და უკრაინელთა წინააღმდეგობაზე სრულიად არაადეკვატური იყო. მათი მოლოდინით, უკრაინელი ხალხის დიდი ნაწილი რუსულ ჯარს სიხარულით შეხვდებოდა, უკრაინული ხელისუფლება კივიდან გაიქცეოდა, ხოლო უკრაინული ჯარი აგრესორებს ხეირიან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. მოსკოვის ასეთი მოლოდინი საშინელი შეცდომა აღმოჩნდა.

2022 წლის 24 თებერვალს, დილით ადრე, რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო. უკრაინული ქალაქების მასიურ სარაკეტო და საავიაციო დაბომბვასთან ერთად, რუსული ჯარი უკრაინაში ერთდროულად მრავალი მიმართულებიდან შეიჭრა. რუსეთის ტერიტორიისა და ოკუპირებული ყირიმის გარდა, რუსული ჯარი უკრაინაში ასევე ბელარუსიდანაც შევიდა. ამის ნება მოსკოვს ბელარუსის მმართველმა დიქტატორმა – ალექსანდრე ლუკაშენკომ მისცა.

რუსებმა თავიდანვე სცადეს უკრაინის მთავარი ქალაქების – კიევისა და ხარკივის – აღება. სწორედ აქ გამოჩნდა რუსების ომისწინა მოლო-

დინის სიცრუე. უკრაინელებმა ომის პირველივე წუთებიდან მტერს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. რუსებს არ გამოუვიდათ არც კიევისა და ხარკივში შეჭრა და არც ამ ქალაქების ალყაში მოქცევა. ამასთან, აშშ-მ, ბრიტანეთმა და სხვა დასავლურმა ქვეყნებმა უკრაინელებისთვის საჭირო შეიარაღების მიწოდება დაიწყეს.

სამხრეთში რუსებს უფრო მეტი წინსვლა ჰქონდათ. ყირიმიდან გამოსულმა რუსულმა ჯარმა ქალაქი ხერსონი აიღო. ამის შემდეგ მათი გეგმა იყო მიკოლაივისა და მერე ოდესის აღება, რითაც უკრაინა ზღვაზე გასასვლელს სრულად დაკარგავდა. თუმცა, მიკოლაივის ოლქში რუსების სასტიკად დამარცხდნენ და უკუიქცნენ.

მარტის ბოლოსთვის რუსები კიევის ბრძოლაში დამარცხდნენ. კიევთან დარჩენა რუსული ჯარისთვის კატასტროფას მოასწავებდა. ამიტომ მოსკოვმა უკანდახევა გადაწყვიტა. პარიზისთვის რუსულმა ჯარმა კიევის ოლქი დატოვა. მან ასევე დატოვა ჩერნიჰივისა და სუმის ოლქები, სადაც რუსებს ასევე გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს და რუსული ჯარი კიევისკენ არ გაატარეს. ამის გარდა, უკრაინელებმა რუსები ხარკივის მისადგომებიდანაც უკუაგდეს.

ომის პირველივე დღეებში რუსულ ალყაში მოექცა ქალაქი მარიუპოლი, უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში. რუსებმა ქალაქი დაბომბვებით მიწასთან გაასწორეს და თან მისი მტურში დაიწყეს. მარიუპოლის დამცველები დიდხანს იბრძოდნენ გმირულად. რუსებს ქალაქის ყოველი ნაწილის აღება ქუჩის უმძიმეს ბრძოლებში უწევდათ. როცა ქუჩებში წინააღმდეგობა შეუძლებელი გახდა, დამცველები გამაგრდნენ „ზოვსტალის“ ქარხანაში, რომელიც მათ ციხესიმაგრედ იქცა, და მტერს იქებრძოდნენ.



ალექსანდრე ლუკაშენკოს და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა ომის პირველ დღეებში

სამეზოგლო



6 საქმეგბერი

6 ოქტომგბერი

ნომგბრის მდგომარეობა

საქმეგბერში დანყეზული უქრინული კონტრგბტაქვის ჰროგრისი

- 2 კვირაზე ნაკლავი ხნის ნინ განთავისუფლავული
- გაურაკვიველი სტატუსი
- 2014 წელს ოკუპირავული (დონეცკი, ლუჰანსკი)
- განთავისუფლავული
- 2022 წელს ოკუპირავული

ბოლოს მათ ტყვია-ნამალი, საკვეები და სხვა მარაგები გაუთავდათ და ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. ამიტომ უკრაინის ხელისუფლებამ მარიუპოლის დამცველებს კაპიტულაციის ბრძანება მისცა. 20 მაისს მარიუპოლის გარნიზონი ტყვედ ჩაბარდა.

კიევის ბრძოლაში მარცხის შემდეგ რუსებმა დონბასის მთლიანად დაპყრობა გადაწყვიტეს. ამისთვის მას დიდი ძალით შეუტიეს, მაგრამ წინსვლა ძალიან გაუჭირდათ. უკრაინელები რუსებს ყოველ მეტრში დიდ ფასს ახდევინებდნენ. რუსებმა შეძლეს დონბასის ერთი ნაწილის აღება, მაგრამ უკრაინელთა წინააღმდეგობის გამო მათი შეტევა ივლისში გამოიფიტა და გაჩერდა ისე, რომ დონბასის დიდი ნაწილი კვლავ უკრაინელთა ხელში დარჩა.

ამის შემდეგ ერთხანს არცერთ მხარეს არ ჰქონდა დიდი წინსვლა: რუსებს ეს აღარ შეეძლოთ, ხოლო უკრაინელები, როგორც აღმოჩნდა, შეტევისთვის ემზადებოდნენ. მომზადების შემდეგ კი, 29 აგვისტოს, უკრაინელები ხერსონის ფრონტზე შეტევაზე გადავიდნენ.

2022 წლის 6 სექტემბერს უკრაინაში რუსული ჯარის კრაზი დაიწყო. დონბასსა და ხარკივს შორის უკრაინელებმა შეტევა წამოიწყეს და რუსული ფრონტი მაშინვე გაარღვიეს. რუსებმა ხეირიანი წინააღმდეგობაც ვერ განიეს. შემდგომ დღეებში უკრაინელებმა სწრაფად შეუტიეს, გაათავისუფლეს დიდი ტერიტორია, რამდენიმე ქალაქი და უამრავი სოფელი. რუსები ისე სწრაფად გარბოდნენ, რომ დიდძალი შეიარაღება დარჩათ, რომელიც უკრაინელებს ჩაუვარდათ ხელში. ამგვარი მარცხი რუსულ ჯარს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ განუცდია.

უქრინის მომავალი

როცა ამას 2022 წლის სექტემბერში ვწერ, რუსეთის სამხედრო ძალა უკრაინაში გამოფიტულია. დიდი შეტევა მათ უკვე აღარ ძალუძთ. უკრაინელები კი, პირიქით, შეტევას განაგრძობენ ჩრდილოეთშიც და ხერსონის ფრონტზეც. მართალია, ომი ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ უკვე ცხადად ჩანს – უკრაინა იმარჯვებს.



დანგრეული „აზოვსტალი“



კრეისერი „მოსკვა“

რუსეთს და პირადად პუტინს უკრაინული სახელმწიფოსა და ერის განადგურება სურდა, მაგრამ ამის ნაცვლად მათ საპირისპირო შედეგი გამოიწვიეს. 2014 წლამდე უკრაინის შიგნით ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე ბევრი უთანხმოება არსებობდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა ყირიმის უკანონო ოკუპაცია მოახდინა და დონბასში ომი დაიწყო, უკრაინელთა დიდი უმრავლესობა მიხვდა, რომ რუსეთის პოლიტიკა არის აგრესიული და იმპერიალისტური. უკრაინელები ერთმანეთში შეთანხმდნენ, რომ რუსეთის თავდასხმას წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ.

2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ უკრაინელი ხალხი კიდევ უფრო მეტად შეიკრა. მშვიდობიანი მოსახლეობა რუს ჯარისკაცებს ყველგან ისე ხვდება, როგორც დამპყრობლებს, ხოლო უკრაინის ჯარი და ხელისუფლება რუსეთთან ბრძოლის საქმეში ხალხისგან დიდ მხარდაჭერას იღებს. უკრაინელებს ომში გამარჯვების სჯერათ და კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ნებისმიერ ისეთ ზავს, რომელიც უკრაინული ტერიტორიების დათმობას გამოიწვევს.

რუსეთისგან თავისუფლებისთვის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში უკრაინა იმარჯვებს. რუსეთის თავდასხმით გამოწვეული ნგრევისა და მსხვერპლის მიუხედავად, უკრაინას კარგი მომავალი აქვს. ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ომში გამარჯვება უკრაინელებს დიდ პერსპექტივებს გაუხსნის, ხოლო ევროპა და ამერიკა მათ დანგრეულის აღდგენაში დაეხმარება. საკუთარი გმირული ბრძოლის, სამხედრო საქმის ცოდნისა და დასავლეთის მხარდაჭერის წყალობით უკრაინელებმა დაიცვეს თავიანთი უფლება – იცხოვრონ, როგორც თავისუფალმა ადამიანებმა.

